ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი - კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე - კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.11.2012

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №132/12

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ.–ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.–სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 07 ნოემბერს ლ.ი ქ.–მა საჩივრით მომართა ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.–სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2011 წლის თებერვალში მან კუთვნილი უძრავი ქონების თაღლითურ მიტაცებასთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა ადვოკატ ა. ბ.–ს, გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და გადასცა თანხა 4600 (ოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ოდენობით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ა. ბ.–ს მისთვის არ გადაუცია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ასლი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ა. ბ.–მ მას განუმარტა, რომ აღნიშნული საქმე იყო პოლიციის განსახილველი, რადგან მისმა ბიძაშვილებმა მას ბინა გაუყიდეს და ხელშეკრულებაზე მორალური ზეწოლის შედეგად მოაწერინეს ხელი.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, 1 (ერთი) წლის განმავლობაში იგი დადიოდა ადვოკატ ა. ბ.–სთან ქ. თბილისში, მირცხულავას ქ. N1-ში მდებარე ოფისში, მაგრამ 2011 წლის თებერვლიდან ადვოკატი გადავიდა აღნიშნული მისამართიდან და არ პასუხობს სატელეფონო ზარებს. შესაბამისად, ამჟამად მისთვის უცნობია ადვოკატის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მისამართი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2011 წლის აგვისტოს თვეში ადვოკატმა მას გამოართვა 2600 (ორი ათას ექვსასი) აშშ დოლარი და დააწერინა განცხადება, რომ აღარ იყო მისი ადვოკატი, მის საქმეში ადვოკატის მომსახურების საჭიროება აღარ არსებობდა და ამ საქმეს ის პოლიციასთან შეთანხმებით არკვევდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის იმყოფება გაურკვეველ მდგომარეობაში, რადგან დარჩენილია სახლის გარეშე და ესაჭიროება ადვოკატ ა. ბ.–სთან დაკავშირება მორიგების მიზნით.

1.8 2012 წლის 07 დეკემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა წერილობით ახსნა - განმარტებაში მიუთითა, რომ ა. ბ.–ის წინააღმდეგ პოლიციაში შეიტანა განცხადება, რომელიც საკუთარი ნებით გამოიტანა უკან იმ მიზეზით, რომ ადვოკატი შეჰპირდა გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 2013 წლის 28 იანვარს ადვოკატმა ა. ბ.–მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, 2011 წელს მას მიმართა საჩივრის ავტორმა ლ. ქ.–მა და განუმარტა, რომ სჭირდებოდა იურიდიული მომსახურება, რადგან მისმა ნათესავებმა და მეზობლებმა თაღლითურად და ძალადობით აიძულეს იაფად გაეყიდა მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლი.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან ლ. ქ.–ს მოსთხოვა მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის წარმოდგენა. საჩივრის ავტორმა მას გადასცა საჯარო რეესტრის ამონაწერი და სანოტარო აქტი ბინის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ მათ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ასლიც მან გადასცა საჩივრის ავტორს და ხელშეკრულების საფუძველზე ლ. ქ.–მა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით გადაუხადა 500 (ხუთასი) ლარი.

2.3 ადვოკატის განცხადებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებამდე, მან განუმარტა ლ. ქ.–ს, რომ სანოტარო აქტზე მისი ხელმოწერის არსებობა

მოცემულ ეტაპზე გამორიცხავდა სამოქალაქო-სამართლებრივი დავის წარმოების შესაძლებლობას. ამიტომ, სათანადო მოკვლევის შემდეგ, გარკვეულ პირთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების გამოკვეთის შემთხვევაში, საჭირო იყო პოლიციისათვის განცხადებით მიმართვა. აღნიშნულზე ლ. ქ.–მა განაცხადა თანხმობა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან ლ. ქ.–ის ინტერესების დაცვის მიზნით, საქმის გარემოებების გამოსარკვევად განახორციელა ინტენსიური მოქმედებები. კერძოდ, იგი არაერთხელ ავიდა სოფელ დიღომში, შეხვდა ქუცნიაშვილის მეზობლებს, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებდნენ აღნიშნულ ყიდვა-გაყიდვაში. აგრეთვე შეხვდა ბინის მყიდველებსაც.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მუშაობის პერიოდში მას დაურეკა დიდუბე ჩუღურეთის პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა და მის წინააღმდეგ შესულ საჩივართან დაკავშირებით დაიბარა განყოფილებაში, სადაც იგი დაუყოვნებლივ გამოცხადდა. საჩივარში, რომელიც ლ. ქ.–მა შეიტანა პოლიციაში, აღნიშნული იყო, რომ ა. ბ. მას არ უბრუნებდა ვალს 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, მოპარა ფული და გაუფუჭა ტელევიზორი და ტელეფონი. ამ ფაქტთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ მომხდარა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, 2012 წლის დასაწყისში ლ. ქ. მივიდა მასთან, სთხოვა პატიება და აუხსნა, რომ აღნიშნული საჩივარი გამომძიებელმა დააწერინა. ადვოკატის თქმით, პროფესიული ეთიკიდან და ჩამოყალიბებული ურთიერთობიდან გამომდინარე მან უარი განაცხადა ლ. ქ.–თან ურთიერთობის გაგრძელებაზე და მოუწოდა მას სხვა ადვოკატისათვის მიემართა.

2.7 ადვოკატის განცხადებით, ის ფაქტი, რომ მან ლ. ქ.–ს გამოართვა 4 600 (ოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარი არ შეესაბამება სიმართლეს. პოლიციაში შეტანილ საჩივარში ლ. ქ.–ს მითითებით ადვოკატს 2000 (ორი ათასი) ლარი ჰქონდა მისი ვალი. ამიტომ, ადვოკატის განმარტებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ ლ. ქ. მას კვლავ გადასცემდა დამატებით 2 600 (ორი ათას ექვსას) აშშ დოლარს, როგორც ამას საჩივარში აცხადებს.

2.8 ადვოკატის განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება აგრეთვე ის ფაქტი, რომ მან ლ. ქ.–ს პოლიციიდან განცხადება გამოატანინა იმ პირობით, რომ უკან დაუბრუნებდა გადახდილ თანხას. ადვოკატის გამარტებით, მის წინააღმდეგ საქმე არ აღიძრა, არა იმიტომ რომ მხარეები მორიგდნენ, არამედ იმიტომ, რომ სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად დანაშაულის არსებობა არ დადასტურდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. ბ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი N /, სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ლ. ქ.–მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2012 წლის 07 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2011 წლის თებერვლიდან 2012 წლის დასაწყისამდე. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.–ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მას არ გადასცა 2011 წლის თებერვალში მათ შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ასლი და 2012 წლის თებერვალში შეიცვალა მისამართი, არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს და დღემდე ვერ ახერხებს მასთან დაკავშირებას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან".

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

5.3 ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე № განმარტა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე." ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა,

გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

5.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე № დაადგინა: “ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებების ასლები აუცილებლად უნდა იყოს მიწოდებული კლიენტისთვის დადებისთანავე, ან თუ არსებობს ობიექტური ხელისშემშლელი გარემოება ამ გარემოების აღმოფხვრისთანავე. ... საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულებს საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისთვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება.“

5.5 ადვოკატი ა. ბ. საჩივრის ავტორთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე 2011 წლიდან წარმოადგენდა ლ. ქ.–ის ინტერესს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას არ გადასცა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ასლი, ხოლო ადვოკატი ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ მან აღნიშნული ხელშეკრულება საჩივრის ავტორს გადასცა მათ შორის ხელშეკრულების დადების დღესვე. კოლეგიამ იმსჯელა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ასლის ლ. ქ.–სთვის გადაცემასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ადვოკატს აქვს ვალდებულება კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია საადვოკატო მომსახურების პირობების შესახებ. იმის გამო, რომ არ არსებობს მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც კოლეგია შეძლებდა დაედგინა რომელიმე მოსაზრების მართებულობა, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გადაუცემლობის ფაქტი არ დგინდება.

5.6 კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ იგი ადვოკატთან ვერ ახერხებდა კომუნიკაციას, მიიჩნევს, რომ ამ გარემოების დასადასტურებლად საქმეში არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, კომისია მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტებას ვერ მიიჩნევს საკმარის მტკიცებულებად ასეთი გარემოებების დადგენილად ცნობისათვის.

5.7 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მას გამოართვა თანხა – 4600 (ოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ოდენობით.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისთვის და გამომდინარეობდეს საქმის სირთულიდან, მოცემულობიდან, საქმის შესრულების ხანგრძლივობიდან, კვალიფიკაციიდან, ხოლო ქონებრივი დავების შემთხვევაში – დავის საგნის (სარჩელის ფასის) ღირებულებიდან და მნიშვნელობიდან და ა.შ“.

5.9 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საადვოკატო მომსახურების საფასური არ არის წინასწარ დადგენილი და განსაზღვრავს თავად ადვოკატი კლიენტთან შეთანხმებით. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს სულ გადასცა თანხა 4600 (ოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ოდენობით, საჩივრის ავტორი არ უთითებს აღნიშნული თანხა რა მიზნით გადასცა ადვოკატს: ეს იყო მთლიანად საადვოკატო მომსახურების ჰონორარი თუ არა, ხოლო ადვოკატის განცხადებით, მან საადვოკატო მომსახურების თანხა აიღო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის მასალების საფუძველზე არ ირკვევა, რა ოდენობის ჰონონარზე შეთანხმდნენ მხარეები და რეალურად რა თანხა გადასცა ლ. ქ.–მა ადვოკატ ა. ბ.–ს. ამასთანავე, კომისია განმარტავს, რომ ჰონორარის საკითხი განეკუთვნება სამოქალაქო - სამართლებრივი დავების კატეგორიას და მისი დაბრუნების თაობაზე საჩივრის ავტორს შეუძლია სარჩელი აღძრას ადვოკატის წინააღმდეგ სასამართლოში საერთო წესების დაცვით.

5.10 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მას შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და აღარ უწევს იურიდიულ დახმარებას.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ბ.–ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.11.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–4 ნაწილის მიხედვით, ,,ადვოკატს უფლება არა აქვს შეწყვიტოს კლიენტის ინტერესების დაცვა საამისოდ პატივსადები საფუძვლის გარეშე“.

5.11.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–7 ნაწილის მიხედვით, ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით“.

5.12 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი ადვოკატს უფლებას აძლევს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის წარმოებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს: კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება. სამივე კომპონენტი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობითაა განპირობებული და ადვოკატს პირდაპირ ბოჭავს საქმეზე უარის თქმის დროს ასეთი ნების ცალმხრივად გამოვლენის შემთხვევაში.

5.13 ადვოკატ ა. ბ.–ის განმარტებით, მან კლიენტის მომსახურება აღარ გააგრძელა, რადგან საჩივრის ავტორმა მიმართა პოლიციას გარკვეული ბრალდებებით მის მიმართ, პოლიციისათვის მიმართვის ფაქტს ადასტურებს საჩივრის ავტორიც 2012 წლის 07 დეკემბრის განმარტებით. იმ

შემთხვევაში, როდესაც ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა შეუძლებელი ხდება, ადვოკატი ისევ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია შეწყვიტოს მისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა. საქმის წარმოებისას ლ. ქ. რაიმე ვადით შეზღუდული არ ყოფილა და შეეძლო თავისი ინტერესების დასაცავად სხვა ადვოკატის პოვნა, შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტით საჩივრის ავტორს ზიანი არ მიდგომია. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის წარმომადგენლობაზე უარის თქმა განაპირობა ადვოკატის ვარაუდმა, რომ კლიენტმა მის მიმართ ნდობა დაკარგა, აღნიშნული ვარაუდი ადვოკატს შეექმნა ლ. ქ.–ის მიერ მის წინააღმდეგ პოლიციისათვის მიმართვის შედეგად. კოლეგიის შეფასებით ადვოკატის მიერ დასახელებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი ჩაითვლება პატივსადებ მიზეზად და ადვოკატ ა. ბ.–ის მიერ არ არის დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 და მე-7 ნაწილები.

5.14 საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებლად კოლეგიისათვის წერილობითი პოზიციის გარდა სხვა რაიმე სახის მტკიცებულება არც საჩივრის ავტორს და არც ადვოკატს არ წარმოუდგენიათ და მხოლოდ საჩივრის ავტორის წერილობითი პოზიცია ვერ იქნება ადვოკატ ა. ბ.–ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე–8 მუხლის მე–4, მე–5, მე–7 და მე–8 ნაწილებით. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №132/12 ადვოკატ ა. ბ.–ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/